



Expert Group LLC



Audit, Tax and Valuation Services

შ.პ.ს. „ექსპერტ ჯგუფი“

აუდიტორული დასკვნა

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„უნიპაკი“**

2025 წლის 19 მაისი

აუდიტორული შემოწმების ზოგადი მიმოხილვა

2022 წლის მარტის თვეში შპს „ექსპერტ ჯგუფი“-ს ს/კ 204967900 (აუდიტორული აუდიტური ფირმების სახელმწიფო რეესტრის მიერ გაცემული სარეგისტრაციო ნომერი # SARAS-F-639733) (შემდგომში „შემსრულებელი“) აუდიტორმა კობა სალუქვაძემ (აუდიტური ფირმების და ფიზიკური პირების სახელმწიფო რეესტრის მიერ გაცემული სარეგისტრაციო ნომერი # SARAS-A-908248), ჩავატარეთ შპს უნიპაკი ჯგუფის (ს/კ401943590), (შემდგომში „დამკვეთი“) 2023 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ბუღალტრული აღრიცხვის, დოკუმენტაციის და საქმიანობის აუდიტი.

აუდიტი ჩატარდა საზოგადოების მიერ წარმოდგენილი პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების, საბანკო ამონაწერების, ბუღალტრული პროგრამის, საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დეკლარაციების, მონაცემებზე დაყრდნობით.

აუდიტორული შემოწმება შეეხო 2023 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

დაბეგვრასთან და აღრიცხვასთან დაკავშირებულ საჭირო განმარტებებს და ინფორმაციას იძლეოდა შპს „უნიპაკის“ დირექტორი შემსეთთინ ირემაძე (პ/ნ 01701121416).

ზოგადი ინფორმაცია დამკვეთის შესახებ

დამკვეთი რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2010 წლის 29 იანვარს და მინიჭებული აქვს საიდ. ნომერი 401943590 შპს უნიპაკი არის რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად.

საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, თამარ მეფის გამზ., N18

საწარმოს ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს სატვირთო საგზაო ტრანსპორტი. ხოლო დამატებითი საქმიანობა საბითუმო ვაჭრობა სხვა შუალედური პროდუქტებით.

შპს „უნიპაკი“-ის ჯგუფი ბუღალტრულ აღრიცხვაში იყენებს დარიცხვის მეთოდს და საბუღალტრო აღრიცხვას აწარმოებს კომპიუტერული პროგრამის Fina -ს მეშვეობით.

აუდიტის მოქმედებები და ღონისძიებების ჩატარება

აუდიტორული შემოწმების მიხედვით ჩატარებული იქნა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების სისწორის აუდიტი. შემოწმდა 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე გადასახადების დარიცხვისა და დეკლარირების სისწორე.

დებიტორებისა და კრედიტორების აღრიცხვის აუდიტის რეალური ნაშთების აღმოჩენისათვის მოთხოვნილი იქნა კომპანიებისაგან შედარების აქტები, რითიც შემოწმდა ნაშთების სისწორე.

სასაქონლო მატერიალური მარაგების გადამოწმება.

16.05.2025 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის საფუძველზე გამოვლენილი სასაქონლო მატერიალური მარაგის დანაკლისი და ზედმეტობა არაარსებითია ჩატარდა ინვენტარიზაცია რასაც დაესწრო აუდიტის წარმომადგენლობა.

კაპიტალის მოძრაობა

შპს „უნიპაკის“ 01.01.2023 წლის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენდა : 1,271,364 ლარი ; (დამფუძნებლი შემსეთთინ ირემადის მიერ 2023 წელს კაპიტალში ეტაპობრივად შენატანმა შეადგინა: 489,350 ლარი, კაპიტალიდან გავიდა 380,140 ლარი) 31.12.2023 წლის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალის ნაშთი იყო 1,380,574 ლარი. (დამფუძნებლი შემსეთთინ ირემადის მიერ 2024 წელს კაპიტალში ეტაპობრივად შენატანმა შეადგინა: 59,891 ლარი, კაპიტალიდან გავიდა 101,351 ლარი) 31.12.2024 წლის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალის ნაშთი იყო 1,339,114 ლარი.

შპს „უნიპაკი“-სმოგება-ზარალის უწყისი:

წელი	2023	2024
პერიოდი	31-12	31-12
შემოსავლები	2,765,893	2,951,654
შემოსავლების ჯამი	2,765,893	2,951,654
ხარჯები		
მიწოდების ხარჯები	1,431,989	1,190,923
სამივლინებო ხარჯები	59,226	
ფინანსური ხარჯი	5,427	18,166
კომპიუტერული ხარჯი	1,068	474
საკონსულტაციო ხარჯი	10,186	500
საბანკო ხარჯი	5,899	7,459
სოციალური დანარიცხი	2,320	1,960
კომუნალურები	8,606	10,632

Expert Group LLC

Audit, Tax and Valuation Services

კომუნიკაციის ხარჯი	1,070	1,136
იჯარა	42,043	53,410
შრომის ანაზღაურება	116,000	98,000
დაზღვევა	9,411	7,413
ცვეთა და ამორტიზაცია	58,777	44,920
რეალიზებული საქონლის ხარჯი	699,500	887,832
სასაქონლო მატ. მარაგის კორექტ.	122,676	
სხვა საერთო ხარჯი	6,478	2,571
არასაოპერაციო შემოსავალი	57,464	7,426
მოგება/ზარალი	242,681	633,684
განაწილებული მოგება	0	0
მოგების გადასახადი	0	0
საქმიანობის შედეგები	242,681	633,684

შპს „უნიპაკ“-ს ბალანსის უწყისი:

წელი	2023	2023	2024
პერიოდი	01-01	31-12	31-12
აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	831,845	1,069,099	886,543
გაცემული ავანსები	209,870	233,189	206,438
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	-	10,015	83,768
ფული და ფულის ექვივალენტი ლარში	260,111	57,143	113,570
საქონელი	577,383	921,550	1,384,946
საგადასახადო აქტივი	128,459	130,440	138,942
მოკლევადიანი აქტივების ჯამი	2,007,668	2,421,436	2,814,207
გრძელვადიანი აქტივი	854,948	819,900	774,980
არამატერიალური აქტივები	949	949	949
გრძელვადიანი აქტივების ჯამი	855,897	820,849	775,929

Expert Group LLC

Audit, Tax and Valuation Services

ჯამური აქტივები	2,863,565	3,242,285	3,590,136
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	475,071	495,905	112,004
მიღებული ავანსები	52,080	23,647	82,798
სესხის ვალდებულება	0	49,622	0
მოკლევადიანი ვალდებულებების ჯამი	527,151	569,174	194,802
სესხის ვალდებულება	0	0	130,000
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი	0	0	130,000
საწესდებო კაპიტალი	1,271,364	1,380,574	1,339,114
გაუნაწილებელი მოგება	1,065,050	1,292,537	1,926,220
ჯამური საკუთარი კაპიტალი	2,336,414	2,673,111	3,265,334
ვალდებულებების და კაპიტალის ჯამი	2,863,565	3,242,285	3,590,136

ზოგადი კონტროლი

1. ორგანიზაციის მიერ გაწეული ხარჯები შეესაბამება კონტრაქტებს.
2. პროექტის შიდა კონტროლის სტრუქტურები მოიცავს სათანადო და ხარჯვით ეფექტურ კონტროლის პრაქტიკას.
3. ორგანიზაცია ასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას.
4. ორგანიზაცია ანაწილებს მოვალეობებს დამფუძნებლებზე და თანამშრომლებზე.

ფინანსური საკითხები

1. გადახდის მოთხოვნის ფორმა შეესაბამება ორგანიზაციული ფინანსური სახელმძღვანელოს.
2. სააღრიცხვო ჩანაწერები, ფინანსური ოპერაციები და ანგარიშები ადეკვატურია.
3. საბუღალტრო გატარებები აღირიცხება საბუღალტრო პროგრამა „ფინა“-ში.
4. ორიგინალი დოკუმენტები ხელმისაწვდომია აუდიტის შემოწმებისთვის.
5. ორგანიზაცია პროექტის განხორციელების შესახებ აწარმოებს ზუსტ და რეგულარულ ჩანაწერებსა და ანგარიშგებებს.

ფულადი სახსრები

პროექტის საჭიროებების დასაფარად ფულადი სახსრები განთავსებულია ბანკში. ყველა თანხის გადახდა ხორციელდება ბუღალტერის, მიერ და გადამოწმებულია ფინანსური და ადმინისტრაციული მენეჯერის მიერ, რაც მიგვაჩნია ადეკვატურ პროცედურად ფულადი სახსრების დაცვის კონტექსტში.

რეკომენდაციები

1. ყოველი წლის დასასრულს უნდა მოხდეს სასაქონლო მატერიალური მარაგის ინვენტარიზაცია და ს.მ.ფ კონტროლი .
2. ყოველთვიურად უნდა მოხდეს შედარება დებიტორ -კრედიტორთან და შესაბამისი შედარების აქტების მომზადება .
3. აუდიტი გასცემს რეკომენდაციას ანგარიშსწორება განხორციელდეს უნაღდო ფორმით . (შესაბამისი დანიშნულებით)

შპს „ექსპერტ ჯგუფი“



გენერალური დირექტორი/აუდიტორი

კობა სალუქვაძე

შპს „უნიპაკი“

დირექტორი

შემსეთთინ ირემაძე

თარიღი : 19.05.2025